ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 21 ივნისის

რიგგარეშე სხდომის

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 14 დეკემბრის N48 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 21 ივნისის რიგგარეშე სხდომის

ოქმი N 11

დაბა ხარაგაული

2019 წლის 21 ივნისი

9 აპრილის . #15

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე - მანანა ბარბაქაძე,

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები : პაატა გოგოლაძე, დავით კიკნაძე, გივი თხელიძე, მალხაზ ფხალაძე, აკაკი ლურსმანაშვილი, ვარლამ ჭიპაშვილი, რუსუდან გიორგაძე, ლენა აბაშიძე, ნონა ზურაბიანი, შალვა ლურსმანაშვილი, პავლე კიკალიშვილი, ვახტანგ ტალახაძე, იულონ კოპაძე, ვლადიმერ ტალახაძე, ნიკოლოზ მაღრაძე, იუზა კელენჯერიძე, გივი ხიჯაკაძე, ზურაბ ხაჩიძე, თეიმურაზ ფცქიალაძე, დავით მაღლაფერიძე, აკაკი მაჭავარიანი,

სულ საკრებულოს 22 წევრი.

სხდომას ესწრებოდნენ:

მერიის წარმომადგენლები:

ვლადიმერ გელაშვილი - მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

ლენა კალანდაძე– საკრებულოს აპარატის უფროსი,

ზაალ ორბელაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში,

ნინო თხელიძე -საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში,

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

მ.შათირიშვილი -მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების თანამშრომელი,

თ. მაღრაძე – ა.ა.ი.პ ,,მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების ცენტრის" ჟურნალისტი,

ლ.გოგოლაძე - გაზეთ „ ჩემი იმერეთის" დირექტორი,

ნ. კაპანაძე - გაზეთ „ ჩემი იმერეთის" ჟურნალისტი,

მოისმინეს: საკრებულოს თავმჯდომარის მანანა ბარბაქაძის ინფორმაცია, რომელმაც საკრებულოს წევრებს წარუდგინა დღის წესრიგი და კენჭის ყრაზე დადგა დღის წესრიგის დამტკიცების საკითხი.

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 22 წევრი

მომხრე 22

წინააღმდეგი 0

დღის წესრიგი მიღებული იქნა (თან ერთვის).

დღის წესრიგი

3.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 14 დეკემბრის N48 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსის

3. გელაშვილის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 14 დეკემბრის N48 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

აზრი გამოთქვეს:

3. ჭიპაშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ საკითხის განხილვა მოუწია დაჩქარებულ რეჟიმში, მაგრამ ის, რომ თანხები ნაშთის სახით გვქონდა არ ვიცოდი, ავანსის სახით დიდძალი თანხაა გაცემული და ეს არ დაგვიბრუნებია. კომისიის წევრები უკმაყოფილებას გამოთქვამს ლეღვანში სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებებთან დაკავშირებით, მერიამ დროებით უნდა განახორციელოს ღონისძიება, რაც დააჩქარებს სტიქიის ლიკვიდაციას ის მაინც უნდა მოახერხოს , რომ ფეხით გასასვლელი გზა გააკეთოს. 2017 – 2018 წლის პროექტების ნაშთი გადმოგვყვა, რა ბედი ელის ამ პროექტებს. 18500 ლარი გადანაწილდა დაბასი სანიაღვრე არხების გასაწმენდად.

„ნიუგრუპზე“ 22-ჯერ არის გაცემული ავანსი კომისიას ამაზე ჭირდება პასუხი.

საბოლოოდ კომისია დაეთანხმა წარმოდგენილ ცვლილებებს.

მ. ბარბაქაძემ აღნიშნა, რომ მერიის მიერ გავრცელდა ინფორმაცია, იმის შესახებ რომ მერიამ მოახდინა ზარალის შესწავლა და მიყენებული ზარალმა 5 მლნ. ლარი შეადგინა ახლა წარმოდგენილია საბიუჯეტო ცვლილება, რომ ექსპერტების დასაქირავებლად ბიუჯეტიდან უნდა გამოვყოთ 4500 ლარი.

მ. ფხალაძემ აღნიშნა, რომ 7 ივნისს მოხდა სტიქია ლეღვანში დღეს არის 21 ივნისი და ვითხოვთ თანხას ექსპერტიზისათვის, ასევე ამბულატორიების პროექტებზე. დიდი ჩამორჩენა არის.

ნ. მაღრაძემ აღნიშნა, რომ ადგილობრივმა კომისიამ დაითვალა ზარალი თუ აქვს ამ კომისიის დასკვნას ძალა და მეორე იქ, რომ გაკეთდეს სახელდახელო გზა ის ვერ იქნება მყარი გარანტია და პირიქით გაზრდის ხარჯებს.

დ. კიკნაძემ აღნიშნა, რომ 2017 წელს საღანძილეში სტიქიამ დააზიანა ხიდ - ბოგირი, დღემდე არ არის აღდგენილი, იგივე სიტუაციაა ლეღვანში იქ შეიძლება, რომ ტრაქტორით გადაიარონ და გაკეთდეს სამანქანო გზა.

პ. გოგოლაძემ აღნიშნა ,რომ 2 კვირა გავიდა სტიქიიდან, ერთი კვირაა იძახიან, რომ ვითვლით ზარალს, რას ვითვლიდით თუ ექსპერტიზისათვის თანხას ახლა გამოვყოფთ რაც ყველაზე მთავარია იმ მუხლებიდან ითხოვთ თანხის წაღებას, რაც საკრებულოს მოთხოვნით იქნა გათვალისწინებული 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების დროს.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს შესთავაზა წინადადება საბიუჯეტო ცვლილების კენჭის ყრის თაობაზე

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 22 წევრი

მომხრე 20

წინააღმდეგი 0

თავი შეიკავა 2

საკრებულომ გადაწყვიტა: დადგენილება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

ამით საკრებულოს დღის წესრიგით გათვალისწინებული განსახილველი საკითხები ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე